# ხელშეკრულება მომსახურების შესყიდვის შესახებ №20.

ქ.თბილისი                                                                 16 დეკემბერი 2016 წელი

## 1. ხელშეკრულების დამდები მხარეები

1.1. ერთი მხრივ, სსიპ ქალაქ თბილისის №218 საჯარო სკოლა შემდგომში „შემსყიდველი", წარმოდგენილი დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის ნოდარ ქავთარაძის სახით და მეორე მხრივ, გიორგი სისაური მცხოვრები გარდაბანი, სოფ. ახალი სამგორი, პირადობის მოწმობა №დ1064077, პირადი №12001083413, შემდგომში „მიმწოდებელი", ვდებთ ხელშეკრულებას მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით, შემდეგზე:

## 2. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტებები

2.1 „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში – „ხელშეკრულება") – შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.

2.2 „ხელშეკრულების ღირებულება" – საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

2.3 „დღე", „კვირა", „თვე" – კალენდარული დღე, კვირა, თვე.

2.4 „შემსყიდველი" – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

2.5 „მიმწოდებელი" –პირი, რომელიც ახორციელებს საქონლის მიწოდებას ხელშეკრულების ფარგლებში.

2.6 „საქონელი"–ხელშეკრულების 3.1 პუნქტით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

## 3. ხელშეკრულების საგანი

3.1 მიმწოდებელი მიაწვდის, ხოლო შემსყიდველი შეისყიდის ტრანსპორტით მომსახურებას (I კლასელთა პორტაბელური კომპიუტერის და სასკოლო სახელმძღვანელოების ტრანსპორტირება).

3.2 **CPV: 60120000.**

3.3 დაფინანსების წყარო: **საკუთარი შემოსავლები.**

## 4. ხელშეკრულების ღირებულება

4.1 ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს **25.00** (მათ შორის საშემოსავლო გადასახადი **5.00** ლარი, რომლის გადახდასაც უზრუნველყოფს "შემსყიდველი" მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად) **ლარს.**

4.2 ხელშეკრულების ღირებულება შეიცავს მიმწოდებლის ყველა ხარჯებსა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ გადასახადებს, დაკავშირებულს მომსახურების მიწოდებასთან.

## 5. მხარეთა უფლება–მოვალეობები

5.1. მიმწოდებელი ვალდებულია:

5.1.1.მომსახურების მიწოდება განახორციელოს ხელშეკრულების ძალაში შესვლისთანავე.

5.2 მიმწოდებელი უფლებამოსილია:

ა) შემსყიდველს მოსთხოვოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება.

5.3 შემსყიდველი ვალდებულია:

ა) განახორციელოს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მოთხოვნების დაცვით მიწოდებული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება.

5.4 შემსყიდველი უფლებამოსილია:

ა)მიმწოდებლისგან მოითხოვოს მომსახურების მიწოდება წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ დროსა და ადგილას;

ბ)შეამოწმოს მომსახურების ხარისხი

გ) მონიტორინგის შედეგად მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დარღვევის აღმოჩენის შემთხვევაში მისცეს მას მითითება ვალდებულებების დარღვევის გამოსწორების შესახებ ან შეწყვიტოს (არ განახორციელოს) მიმწოდებლის დაფინანსება.

## 6. ხარისხი და გარანტია

6.1 მიმწოდებელი პასუხს აგებს გაწეული მომსახურების ხარისხზე, ხოლო შემსყიდველი უფლებამოსილია ჩაატაროს გაწეული მომსახურების ხარისხის შემოწმება.

## 7. საქონლის მიღება-ჩაბარების წესი

7.1 შემსყიდველის მხრიდან ინსპექტირებას განახორციელებს სკოლის დირექტორი და/ან მატერიალურ ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორი.

7.2 წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევის დადასტურების მიზნით, შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტი.

7.3 მომსახურება ჩაითვლება გაწეულად მხოლოდ მხარეებს შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

7.4 შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმოწერის უფლებამოსილება ენიჭება სკოლის დირექტორს.

## 8. ანგარიშსწორების წესი

8.1 გაწეული მომსახურების ანაზღაურება განხორციელდება წინამდებარე ხელშეკრულების 7.3 პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტაციის გაფორმებისთანავე.

8.2 ანგარიშსწორების ვალუტა: ლარი;

8.3 ანგარიშსწორების ფორმა: უნაღდო.

## 9. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

9.1 მომსახურების გაწევა განხორციელდება 2016 წლის 16 დეკემბრიდან 22 დეკემბრამდე.

9.2 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს **2017 წლის 22 იანვრამდე.**

## 10. პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისათვის

10.1 მხარეებმა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები უნდა შეასრულონ ჯეროვნად, კეთილსინდისიერად ხელშეკრულებით დათქმულ დროსა და ადგილას. მხარეები პასუხს აგებენ ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების შეუსრულებლობის, არაჯეროვანი შესრულების ან/და დაგვიანებით შესრულებისათვის ხელშეკრულებით და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

10.2 ფორს-მაჟორული პირობების გარდა, მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის, არაჯეროვანი შესრულების ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში გამოიყენება სანქციები, რომელთა ფორმა, ოდენობა, ამოქმედების პირობები განსაზღვრულია წინამდებარე ხელშეკრულებით.

10.3 მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან/და არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში შემსყიდველი უფლებამოსილია დააკისროს მიმწოდებელს პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 2%-ის ოდენობით.

10.4 არაჯეროვნად შესრულებას წარმოადგენს უხარისხო მომსახურების მიწოდება. ამასთან, არაჯეროვნად გაწეულად მიიჩნევა ნებისმიერი ვალდებულების შეუსრულებლობა, რომელიც ნაკისრი აქვს მიმწოდებელს წინამდებარე ხელშეკრულებით, გარდა 10.5. პუნქტით განსაზღვრული შემთხვევისა.

10.5 მიმწოდებლის მიერ დაგვიანებით შესრულებას წარმოადგენს მომსახურების წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიწოდების ვადის დარღვევა, რისთვისაც შემსყიდველი უფლებამოსილია დააკისროს მიმწოდებელს პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0,1%-ის ოდენობით.

10.6 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

10.7 სანქციების დაწესება არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

## 11. ფორს-მაჟორი

11.1 ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას.

11.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს–მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არის დაკავშირებული მხარეთა ნების გამოვლენასთან, შეცდომებსა და დაუდევრობასთან და გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასითი ან/და გამოწვეულია დაუძლეველი ძალის დადგომით, ამასთან აღნიშნული გარემოება მხარეთა მიერ შესაძლოა განხილულ იქნას როგორც ფორს–მაჟორი მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ აღნიშნული გარემოებების დადგომა უშუალოდ უშლის ხელს მხარეთა მიერ ვალდებულებების შესრულებას.

11.3 ხელშეკრულების მიზნებისათის „ფორს–მაჟორად" მიჩნეული შეიძლება იყოს საომარი ან საგანგებო მდგომარეობა, სტიქიური უბედურება, ეპიდემია, კარანტინი, საქართველოს მთავრობის მიერ გამოცხადებული მორატორიუმი, საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესება, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირება და სხვა.

## 12. სადაო საკითხების გადაწყვეტა

12.1 ხელშეკრულების დამდები მხარეები თანხმდებიან მასზედ, რომ ყველა ღონეს იხმარენ, რათა პირდაპირი მოლაპარაკებების გზით და ურთიერთშეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა საკითხების ირგვლივ.

12.2 თუ შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს უფლება აქვს დავის გადაწყვეტის მიზნით საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით მიმართოს სასამართლოს.

## 13. სხვა პირობები

13.1 ხელშეკრულებაში დამატებების და/ან ცვლილებების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით და წარმოადგენს ამ ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

13.2 ხელშეკრულების მოქმედება შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

13.3 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად (ერთი ეგზემპლარი მიმწოდებელს, ერთი ეგზემპლარი შემსყიდველს).

## 14. მხარეთა ხელმოწერები

| შემსყიდველის მხრიდან | მიმწოდებლის მხრიდან |
|---|---|
| სსიპ ქალაქ თბილისის №218 საჯარო სკოლა | გიორგი სისაური |
| მის: ქ.თბილისი, ისანი-სამგ.რ-ნი, სოფ.ფონიჭალა | მის: გარდაბანი, სოფ. ახალი სამგორი |
| ს.ს „ლიბერთი ბანკი" | ს.ს „საქართველოს ბანკი" |
| ბანკის კოდი: **LBRTGE22** | ბანკის კოდი: **BAGAGE22** |
| ა/ნ **GE25LB0121158717884000** | ა/ნ **GE93BG0000000999119700** |
| ს/კოდი **226526211** | ს/კოდი **120001083413** |
| სკოლის დირექტორის მ.შ: | |
| ნონონ ქავთარაძე | გიორგი სისაური |

სსიპ ქალაქ თბილისის №218 საჯარო სკოლა * LEPL Tbilisi Public School №218 226526211

### მიღება–ჩაბარების აქტი

ქ. თბილისი

ჩვენ ქვემოთ ხელისმომწერნი, ერთის მხრივ სსიპ ქალაქ თბილისის №218 საჯარო სკოლა (შემდგომში - შემსყიდველი) წარმოდგენილი მისი დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის – ნოდარ ქავთარაძის სახით, მეორეს მხრივ გიორგი სისაურის (შემდგომში - მიმწოდებელი) სახით, ვადგენთ წინამდებარე აქტს მასზედ, რომ 2016 წლის 16 დეკემბერს გაფორმებული №20 ხელშეკრულების საფუძველზე მიმწოდებელმა შემსყიდველს გაუწია **სატრანსპორტო მომსახურება (I კლასელთა პორტაბელური კომპიუტერის და სასკოლო სახელმძღვანელოების ტრანსპორტირება)**. ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს – **25.00 (ოცდა ხუთი ლარი და 00 თეთრი) ლარს, (ხელზე გასაცემი – 20.00 ლარი).**

აქტის სისწორეს ვადასტურებთ

| | |
|---|---|
| "შემსყიდველი" | "მიმწოდებელი" |
| №218 საჯარო სკოლის დირექტორის მ.შ: | გიორგი სისაური |
| ------------------ /ნ. ქავთარაძე/ | ------------------ /გ. სისაური/ |

ქალაქ თბილისის №218 საჯარო სკოლა * LEPL Tbilisi Public School № 218 * 226526211

საქართველო

მოქალაქის პირადობის მოწმობა



პირადი № 12001083413

სახელი გიორგი

გვარი სისაური

დაბადების თარიღი 07.09.1990

დაბადების ადგილი კასპი

№ დ 1064077

პირადი ხელმოწერა

მისამართი გარდაბანი, სოფ. ახალი სამგორი

მოწმობის გამცემი ორგანოს დასახელება სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს გარდაბნის სამსახური

გაცემის თარიღი 26.04.2007

მოქმედების ვადა 26.04.2017

რეგისტრაციის თარიღი 26.04.2007

უფლებამოსილი პირის ხელმოწერა

GE93BG000000099119700

| | | |
|---|---|---|
| მარკა Make | D.1 | OPEL |
| ტიპი Type | D.2 | ჰეტჩბეკი\Hatchback |
| მოდელი Model | D.3 | CORSA |
| Vehicle identification number | E | W0L0XCF0816020545 |
| Max. tech. permissible laden mass (kg) | F.1 | |
| Permissible max. mass (kg) | F.2 | |
| Unladen mass (kg) | G | |
| Engine capacity (cm³) | P.1 | 973 |
| Max. net power (kW) | P.2 | |
| Type of fuel or power source | P.3 | ბენზინი\Gasoline |
| Engine identification number | P.5 | |
| Power / weight ratio (kW/kg) | Q | |
| ფერი Colour | R | ლურჯი 3/8<br>Blue 3/8 |

| | | |
|---|---|---|
| Number of seats | S.1 | |
| Number of standing places | S.2 | |
| Manufacturer: Muehlbauer AG | | 22-3999 |

# რეგისტრაციის მოწმობა
# REGISTRATION CERTIFICATE
## საქართველო / GEORGIA

A AA571OA (რეგისტრაციის ნომერი / Registration number)

B 2000 (სატრ. საშ. გამოშვების წელი / Manufacture year of the vehicle)

I 16/11/2014 (რეგისტრაციის თარიღი / Date of registration)

C.1.1 სისაური\Sisauri

C.1.2 გიორგი\Giorgi

C.1.3 საქართველო, გარდაბანი
Georgia, Gardabani

C.1.4 12001083413 (პ/ნ ან ს/კ / Personal number or ID code)

C.4 (a) სატრანსპორტო საშუალების მესაკუთრე
Owner of the vehicle

H (ვადის გასვლის თარიღი / Expiration date)

AL3664328

მოწმობა გაცემულია შსს მომსახურების სააგენტოს მიერ
Certificate is issued by Service Agency of MIA